



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY

წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 4

„26“ 09

2022წ

დადგენილება № 17

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემისა და სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობაში არსებულ ფართის სარგებლობაში მიღების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 85-ე მუხლის 1 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად,

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ახალქალაქში მ. მაშტოცის ქ. N102-ში ს.კ. N63.18.33.383 პირველ სართულზე მდებარე საერთო ფართი 159 კვ.მ. უვადო, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტს. სანაცვლოდ, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტისაგან იგივე (უვადო, უსასყიდლო უზუფრუქტის) ფორმით მიიღოს მის სარგებლობაში არსებულ 258,28 კვ.მ ფართს მდებარე ახალქალაქი, თამარ მეფის ქუჩა N44, სართული I, ს.კ. N63.18.32.544.01.501
2. დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრული საკითხი შეთანხმების მიზნით წარედგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს და განთავსდეს ვებ-გვერდზე.
5. საფუძველი: სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ილია დევიძის 2022 წლის 20 სექტემბრის N06-8187 (შიდა ნომერი 1132932) წერილი.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი



ლავრენტი ჩიბურდანიძე